F 45 № 1945.

ПРОЛЕТАРИАРИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 1 აპრილი, 1949 წ. № 63 (8366). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მისალმება დიდ სტალინს (1-ლი გვერდი).
ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ უხვი მოსავლისათვის! (1-ლი გვერდი).
აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის მისალოცი დეპეშა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას (1-ლი გვერდი).
საკავშირო ალაკ XI ყრილობა (მე-2 გვერდი).
მშვიდობის დაცვისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა კონგრესზე (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირის პრეზიდიუმში — (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხანაგები ა. მგელაძე, ი. კოტლამაზაშვილი, ა. თოლუფურიძე, ვ. ბაქრაძე, ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი გ. ჯინჯარაძე, ს. იშხანოვი, კ. ბეჭვაია, ვ. გოგბაშ, ვ. ცხოვრებაშვილი, რ. შადური, კ. ჩარკვიანი, ნ. რუხაძე, ზ. ჩხუბიანიშვილი, მ. ბარამია, სოციალისტური შრომის გმირები ე. კაკბარიძე, დ. ტაკიძე და ს. მარიდაშვილი, ჯავის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. კლიმეშა. ტრიბუნაზეა საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. გ. ალავიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და რ. აკოფოვისა.

მოსკოვი, კრემლი

დიდ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო!

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც განსახილა წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს უხვი მოსავლის მოყვანისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების საკითხი, მხურვალე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, პარტიისა და ხალხთა ბრძენ ბელადს, საყოველთაო წყობილების შემქმნელს, კომუნიზმის დიდ მეგობარს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

ჩვენ რესპუბლიკის სოციალისტური მოწამთმოქმედების ყველა მშრომელის სახელით უდიდეს მადლობას გიძღვნით ყოველდღიური მზრუნველობისათვის, რასაც საქართველოს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი იჩენთ თქვენ, ჩვენო საყვარელო მასწავლებელო.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო, საბჭოთა საქართველოს სოციალისტური მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო სოფლის წარმატებანი, ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები, ელსადგურები და რკინიგზები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ჩვენი თვალწარმტაცი ციტრუსოვანთა ბაღები, ჩაის პლანტაციები, ვენახები, ჩვენი სკოლები და სამეცნიერო დაწესებულებები, დიადი საბჭოთა ქვეყნის ყველა შესანიშნავი წარმატება განუყრელად დაკავშირებულია თქვენს სახელთან.

სიხარულით მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო, რომ ჩვენს თათბირზე მოვედით სერიოზული მიღწევებით საქართველოს მრავალფეროვანი და ძალი საბჭოთა კავშირისათვის ძვირფასი სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. თქვენი მამობრივი მზრუნველობით როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე ჩვენს რესპუბლიკაშიც სწრაფად იზრდება საკოლმეურნეო სოფლის კულტურა, მრავლდება უხვი მოსავლის ოსტატთა, საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის მოწინავე მებრძოლთა რიგები.

თათბირზე ჩვენ ერთმანეთს გავუზიარეთ ჩვენი შუამბინა მდიდარი გამოცდილება, ავიღეთ კონკრეტული სოციალისტური ვალდებულებანი თვითეული რაიონის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მიხედვით. ყველაფერი ეს დაგეხმარება სოფლის მეურნეობის ახალი ძალავრი აღმავლობის მიღწევაში.

ჩვენ შუდამ გვახსოვს თქვენი ბრძნული მითითებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისა და კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი საკუთრების გამრავლების შესახებ. მტკიცე სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო, რომ ვიმუშაებთ პატიოსნად და თავდადებულად, განუხრელად შეასრულებთ საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინურ წესდებას. ყოველი სიძნელის დაძლევით მოვიყენთ უხვ მოსავალს ნთესოთა დიდ ფართობებზე და ამით ჩვენს წვლილს შეგიტანთ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობამ, რომელიც ამ ორი თვის წინათ ჩატარდა, თქვენი ბრძნული მითითებების საფუძველზე დიდი ამოცანები დაუსახა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს. ყრილობამ საქართველოს ბოლშევიკების სახელით პირობა მოგვცა თქვენ, რომ მივაღწევთ ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ვენახის, მარცვლეულის და სხვა კულტურების მოსავლიანობის შემდგომ მნიშვნელოვან გადიდებას.

გარწმუნებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ჩვენ ზუსტად შეგასრულებთ ამ პირობას, განუხრელად განვახორციელებთ თქვენს ყველა მითითებას, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველა დავალებას.

ჩვენ, სოფლის მეურნეობის მოწინავენი, წარმატებით ვიყენებთ პრაქტიკაში მიჩურინელ მოძღვრებას. ეს დიდად გვიწყობს ხელს უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. საქართველოს მშრომელები უდიდეს მადლობას გიძღვნიან იმისათვის, რომ თქვენ დაიცავთ და ფართო გზა მიეცით მიჩურინელ მოძღვრებას. პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ჩვენ უფრო სრულად გამოვიყენებთ მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს, მომავალშიც ვიქნებით უხვი მოსავლისათვის ბრძოლთა პირველ რიგებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა სახელით სტალინს გაძლევთ, რომ 1949 წელს მნიშვნელოვნად გავადიდებთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობას, პირუტყვის სულადობას და მეცხოველეობის პროდუქტიულობას.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ სოფლის მეურნეობის ფრონტზე გამარჯვება თავისთავად არ მოვა, იგი დაუოლავი შრომით უნდა მოვიპოვოთ. ჩვენ დავძლევთ ყველა სიძნელეს, უნარიანად და ბეჯითად ვიმუშავებთ საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში, უფრო მაღალ ავუყვეთ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიდის დამამთავრებელი წლის უხვი მოსავლისათვის სოციალისტური შეჯიბრების დიად დროშას.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას, რომელსაც ჩვენი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელად და ბრძენ მასწავლებელს, მშობლიურ სტალინს!

ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ უხვი მოსავლისათვის!

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი

30-31 მარტს ძერჟინსკის სახელობის კლუბში შედგა საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი, რომელსაც დაესწრო 700-ზე მეტი კაცი.

კლუბის დარბაზი საზეიმოდ არის მორთული. პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები: კ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. გოგუა, მ. ბარამია, ა. თოფურიძე, ვ. ცხოვრებაშვილი, რ. შადური, გ. ზამბახიძე, ვ. ბაქრაძე, ს. იშხანოვი, კ. ცომაკოვიძე, ნ. რუხაძე, ი. კოტლამაზაშვილი, მ. ლელაშვილი, ა. მგელაძე, კ. ბეკვაია, ა. ამნაძე, ს. ქელიძე, სოფლის მეურნეობის მოწინავენი — სოციალისტური შრომის გმირები მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური დარეჯან ტაკიძე, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის" მერგოლური ე. ვანარიძე, კახეთის რაიონის კოლმეურნეობა „მნათობის" მერგოლური, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სოფო მარიდაშვილი, წითელწყაროს რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ქავთარაძე და ყვარლის რაიონის სოფელ ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ბუჯღაშვილი, ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი გ. ჯინჯარაძე, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი გ. კაკალაშვილი, ჯავის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მართა ალიევა, გორის რაიონის სოფელ ქვეშის კოლმეურნეობის მერგოლური ს. ცაციაშვილი და სხვ.

სცენა მორთულია ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ვ. სტალინის პორტრეტებით, მათი მოწაფეების ვ. ვ. მოლოტოვისა და ლ. პ. ბერიას პორტრეტებთ.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ზ. ჩხუბიანიშვილმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანს ამხ. ი. ყუჯიაშვილს წარადგინეთ თათბირის მონაწილეებმა მეჯუხარე ტაშით სამტკიცო პრეზიდიუმში აირჩიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

დღის წესრიგში დასმულ საკითხზე — „1949 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მოსაყვანად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ" მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. გ. ალავიძემ.

ამხ. ალავიძის მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ: მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორგანიზაციის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. მ. ორაგველიძე, თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეს" თავმჯდომარე ამხ. შ. ქეფხიშვილი, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნის ორგანიზაციის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ა. ტოლელიაშვილი, გორის რაიონის სოფელ მერეთის კოლმეურნეობა „წითელი მერეთის" თავმჯდომარე ამხ. ვ. ბეგზარიშვილი, ბათუმის რაიონის ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ამხ. ა-ინმ მაჭუტაძე, ბაღდის რაიონის სოფელ ქვემობარდგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ძ. რიგვავა, საქართველოს კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანი ამხ. ე. ტაკიძე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ამხ. ტატანა ყურაგი, სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის კაკანავიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ი. ქრისტესიაშვილი, ყვარლის რაიონის სოფელ ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ს. ბუჯღაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) გალის რაიკომის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ა. ჯეფი, ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ამხ. ლ. ხიდაშელი, ულიანოვკის მტბ-ის დირექტორი ამხ. ლ. ოლელაშვილი, გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. კეჩხიშვილი, სამტრედიის რაიონის სოფელ ჯიხაშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მებაღეობაშუმე მერგოლური ამხ. ა. ვაშაკიძე, გურჯაანის რაიონის კარდანახის კოლმეურნეობა „წითელი მარანის" თავმჯდომარე ამხ. ს. გულაშვილი, ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ა. წიკაიშვილი, წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების უფროსი ავრონომი ამხ. ი. ზედგინიძე, ბოლნისის რაიონის დასა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გ. ისაანი, ლაიფურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. შ. გოგაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ზუსტაფონის რაიკომის მდივანი ამხ. ს. ხაკვარიძე, მარნეულის რაისაბჭოს აღმასკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. ბ. ბარამიანი, კახეთის რაიონის სოფელ ქვემოგომის კოლმეურნეობა „მნათობის" თავმჯდომარე ამხ. ა. ზავრადაშვილი, ხობის რაისაბჭოს აღმასკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების უფროსი ავრონომი ამხ. გ. ოთხვა, საქართველოს კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომის მდივანი ამხ. ვ. გონგაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემბერეფრობის საკავშირო ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ი. ანჯაფარიძე, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ძირგანაბლების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ნ. დოლიაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) გუდაუთის რაიკომის მდივანი ამხ. რ. ბოხუა, ახალციხის რაიონის სოფელ კარტალამის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" თავმჯდომარე ამხ. ა. ჩერეფიანი, საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ფოფხაძე, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემომარჯანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ნ. მამაიაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივანი ამხ. მ. ცინცხოვი.

თათბირზე ვრეცელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა, რომელსაც თათბირის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს და მოიწონეს წერილის პროექტი ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

მჭეხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდა თათბირი წინადადებას დიდი სტალინისათვის მისალმებელი დეპეშის გაგზავნის შესახებ. მისალმების ტექსტი წაიკითხა საქართველოს კ. პ. (ბ) წოლეფურის რაიკომის მდივანმა ამხ ვ. მირიანაშვილმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 29 მარტს 91 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი რუსი მეცნიერი-მიკრობიოლოგი, საბჭოთა აკადემიკოსი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნიკოლოზ თევდორეს-ძე გამალეა.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძეო!

გამოთქვამენ რა აზერბაიჯანის ბოლშევიკებისა და ყველა მშრომელთა სურვილს, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ბაქოს კომიტეტი გულითად ბოლშევიკურ სალამს გიძღვნიან თქვენ, დიდი სტალინის ერთგულ მოწაფეს, უახლოეს თანამებრძოლსა და ნაცად მეგობარს თქვენი დაბადების 50 წლისთავის დღეს.

ჯაბუკობიდანვე თქვენი სიცოცხლე და მოღვაწეობა დაკავშირებულია ჩვენი პარტიის ბრძოლასთან ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, კომუნიზმის მშენებლობისათვის.

ჩვენ ვამაყობთ, რომ თქვენ, იყავით რა ბაქოს ტექნიკური სასწავლებლის მსმენელი, აქტიური მონაწილეობას იღებდით დიდი სტალინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი ბაქოს პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში და გახდით აზერბაიჯანელ ბოლშევიკთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როცა ისინი იბრძოდნენ აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის.

აზერბაიჯანის თვითეული მუშის, კოლმეურნისა და ინტელიგენტისათვის ძვირფას და საყვარელ თქვენს სახელთან დაკავშირებულია სტალინური ხუთწლედების დიად წინასწარდასახულობათა განხორციელება, ჩვენი რესპუბლიკის ნავთის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების აღმავლობა, აზერბაიჯანელი ხალხის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავება.

განახორციელებდით რა ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, დიდი სტალინის პირად მითითებებს, თქვენ განამტკიცებდით და აწრთობდით ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ძმურ მეგობრობას. თქვენ ამიერკავკასიის ბოლშევიკებს ზრდიდით ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ყველა მტრისადმი სტალინური შეურიგებლობის სულისკვეთებით. თქვენ უშფოლოდ ხელმძღვანელობდით ამიერკავკასიის ბოლშევიკებს მათს ბრძოლაში სამშობლოს გამეცმენლის, ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის საზიზღარი ლაქების, კოტრ-რევოლუციური ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ.

დიდი სამამული ომის წლებში, როცა მტერი ჩავკაპიონის ჯარს მოადგა, თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძეო, განახორციელებდით რა დიდი სტალინის გენიალურ სტრატეგიულ გეგმას, ფარაზმეთ ამიერკავკასიის მშრომელები ვერმანელ ფაშისტთა ულრიანის ბანსაოგურებლად.

ბაქოს ნავთის მუშაკები და აზერბაიჯანის მშრომელები თავიანთ ყოველდღიურ ბრძოლაში ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის რეალიზაციისათვის, ამხანაგ სტალინის მითითებათა განხორციელებისათვის გრძნობენ თქვენს მუდმივ დახმარებასა და ზრუნვას.

გისურვებთ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძეო, ჯანმრთელობაში და მრავალ წელს სიცოცხლეს შემოგიმი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ბაქოს კომიტეტი

მანქანათმშენებელთა შეჯიბრება საუკეთესო ხარისხის პროდუქციისათვის

სსრ კავშირის მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრომ და პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცეს საუკეთესო ხარისხის პროდუქციისათვის სოციალისტური შეჯიბრების პირობები სამინისტროს საწარმოთა ბრიგადების, უბნებისა და ცალკეული მუშებისათვის.

წოდებანი „საუკეთესო ხარისხის ბრიგადა", „საუკეთესო ხარისხის უბანი" და „ხარისხის წარჩინებული მუშა" მიენიჭება იმ ბრიგადებს, უბნებსა და მუშებს, რომლებიც მიაღწევენ მაღალხარისხოვანი პროდუქციის სისტემატურ გამოშვებას შრომის უმტესი ნაყოფიერების პირობებში.

შეჯიბრებაში გამარჯვებულთ მიეცემათ სამინისტროს და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელები. (საკ.ინ.).

ფ. ენგელსის „კარლ მარქსი"

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ დაბეჭდა ბრიშურა, რომელშიც შეიდა ფ. ენგელსის მიერ 1877 წლის ივნისში დაწერილი სტატია „კარლ მარქსი" და „სიტყვა მარქსის საფლავზე", რაც ფ. ენგელსმა წარმოთქვა ჰაიგეიტის სასფლაოზე ლონდონში 1883 წლის 17 მარტს. უკანასკნელად რომ მიიცილდა თვის უსაყვარლეს მეგობარს, თანამედროვეობის უდიდეს მოაზროვნეს, ფ. ენგელსმა თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „მისი სახელი და საქმეები საუკუნეებში დარჩება!".

ფ. ენგელსის სტატია და სიტყვა-ბაეკუთება წიგნის „კ. მარქსი, ფ. ენგელი. რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად. 1948 წლის გამოცემა (ტომი II)—ტექსტის მიხედვით.

ბროშურის ტირაჟია 250 ათასი ეზემპლარი. (საკ.ინ.).

საქართველოს XI ყრილობა

29 მარტს, კრემლის სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XI ყრილობა.

სასახლის დარბაზში შეიკრიბნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები, ჩვენი სამშობლოს ახალგაზრდა პატრიოტები. დელეგატთა შორის არიან დონბასის ახალგაზრდა მადროელები, გორკის მანქანათმშენებლები, ურალის მეტალურგები, ბაქოს ნავთის მუშაკები, უზბეკეთის მებამბეები, ციმბირისა და ურალის კოლმეურნეები, ახალგაზრდა საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები.

საღამოს 5 საათია. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ა. მიხაილოვი ხსნის ყრილობას და ამბობს:

— ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ყრილობაზე ჩამოვიდნენ საბჭოთა ახალგაზრდების საუკეთესო წარმომადგენლები. სოციალისტური სამშობლოს ვაჟიშვილებმა და ქალიშვილებმა აქ, კრემლში, ჩამოიტანეს ჩვენი სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, ლენინის საქმის დიდი განმგრძობის, კომუნიზმის ბელადის, ძვირფას ამხანაგ სტალინისადმი უდიდესი პატივისცემის, დაუშრეტელი სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების გრძნობა.

დელეგატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და მქუხარე ხანგრძლივ ოვაციას მართავენ ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. ყოველი მხრიდან გაისმის მისასალმებელი შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად: „დიდ სტალინს ვაშა!“, „ამხანაგ სტალინს დიდება!“.

ამხ. მიხაილოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყრილობა მოწოდებულია განაზოგადოოს კომკავშირის მიერ დაგროვილი მდიდარი გამოცდილება, ბოლშევიკური სიმკეცრით ამხილოს ნაკლოვანებანი, დასახოს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისთვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ლენინურ-სტალინური კომკავშირის შემდგომი მონაწილეობის პროგრამა. ამხ. მიხაილოვი თავის სიტყვის დასასრულს დოკლადჩლობას უსურვებს სახელოვან საბჭოთა სამშობლოს, ლენინურ კომკავშირს, ლენინ-სტალინის პარტიას, კომუნიზმის დიდ ბელადს, საბჭოთა ახალგაზრდობის ბრძენ მასწავლებელსა და საუკეთესო მეგობარს, საყვარელ ამხანაგ სტალინს.

დარბაზში კვლავ მქუხარე ოვაცია იმართება. ყრილობის დელეგატები დიდგრძელებს უსურვებენ დიდ სტალინს, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

საკავშირო ალკკ მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. პ. კრასავჩენკოს წინადადებით ყრილობა ერთხმად ირჩევს პრეზიდიუმს 45 კაცის შემადგენლობით. ყრილობის პრეზიდიუმში ირჩევენ: საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები ბ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკო და გ. მ. პომპოო, ამხ. მ. თ. შკირიატოვი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები ნ. ა. მიხაილოვი, ვ. ნ. ივანოვი, ა. ნ. შელეპინი, ა. ვ. ხარლამოვი, ტ. ი. ერშოვა, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე დ. ტ. შეპილოვი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. კუზნეცოვი, მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო-საპაერო ძალების პარადელი ვ. ი. სტალინი, სამგზის საბჭოთა კავშირის გმირები ი. ნ. კოჟედუბი, ა. ი. პოკრიშკინი, თურქმენეთის სსრ კოლეფურნეობა „კომუნისტის“ მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ა. ბეგენჩევა, ჩელიაბინსკის მილსაგლინავი ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი ლ. ბ. კოზლოვა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყირგიზეთის ფილიალის მეცნიერი თანამშრომელი ვ. კრიმჯალოვა, ლატვიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. კ. კრუმინში, სტალინოს ოლქის კალინინის სახელობის შახტის მბურღველი კ. ა. კრიფოპლინი და სხვები.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ყრილობა საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით. ამხანაგი სტალინი არჩეულია საკავშირო ალკკ XI ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ.

დელეგატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და მქუხარე ტაშით გამოთქვამენ თავიანთ მხურვალე, უსაზღვრო სიყვარულს საბჭოთა ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის, საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობრის ამხანაგ სტალინისადმი. დარბაზში კვლავ გაისმის მისასალმებელი შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

შემდეგ ყრილობა ირჩევს სამდივნოს 11 კაცის შემადგენლობით, სარედაქციო კომისიას 21 კაცის შემადგენლობით და სამანდატო კომისიას 25 კაცის შემადგენლობით.

შემდეგ ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი:

1. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.
2. ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. სკოლაში კომკავშირის მუშაობის შესახებ.
4. ცალლებანი საკავშირო ალკკ წესდებაში.
5. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.
6. ცენტრალური სარევიზიო კომისიის არჩევნები.

თავმჯდომარე — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ა. მიხაილოვი დღის წესრიგის პირველ საკითხზე სიტყვას აძლევს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ნ. ა. მიხაილოვს.

ამხ. მიხაილოვი ამბობს, რომ საკავშირო ალკკ XI ყრილობა შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დროს, როცა საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით წყვეტს იმ ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებასა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლასთან. იგი აღნიშნავს, რომ საკავშირო ალკკ X ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდი აღსავსე იყო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით. ეს იყო პერიოდი სოციალიზმის უდიდესი გამარჯვებებისა, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით. **(მქუხარე ტაში).** იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განვლილი პერიოდის მთავარი მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის დიდი სამამული ომი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. ეს ომი, რომელიც თავს მოგვახვია ჰიტლერულმა გერმანიამ, საბჭოთა ხალხის სრული გამარჯვებით დამთავრდა. გამარჯვებამ ცხადყო, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება საზოგადოების ორგანიზაციის საუკეთესო ფორმაა, რომ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო ურყევია. ასეთი შეჭიდნეს იგი ბოლშევიკურმა პარტიამ, ლენინმა და სტალინმა. **(მქუხარე ტაში).** საბჭოთა ხალხს ყველა გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია უკვდავი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობი, ჩვენი მშობლიური მამა, დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი. **(მქუხარე ტაში).** ამხანაგ სტალინს, მის უდიდეს ენერგიასა და დაუშრეტელ სიბრძნეს უნდა უმადლოდეს მთელი პროგრესული კაცობრიობა თავის ნაწამებარ მონობის საფრთხისაგან. ამხანაგ სტალინის სახით საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობას ყავს გენიალური, საყოველთაოდ აღიარებული ბელადი. ჩვენი დიდი ბედნიერებაა, რომ საბჭოთა ხალხს სათავეში უდგას ამხანაგი სტალინი. **(მქუხარე ტაში).**

ამხ. მიხაილოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და აღზრდილი კომკავშირი ყოველთვის და ყველაფერში მტკიცედ მისდევს კომუნისტურ პარტიას, ყოველთვის იყო და რჩება მისი ერთგული თანაშემწე და მებრძოლი რეზერვი, რომელიც მზად არის შეასრულოს ყოველგვარი ამოცანა, დასძლიოს ყოველგვარი სიძნელე კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხ. მიხაილოვი ახასიათებს კომკავშირის სახელოვან გზას განვლილ წლებში, აღნიშნავს, რომ კომკავშირელები მთელ ძალებს ახმარდნენ სოციალიზმის მშენებლობის საქმეს. მაგრამ საერთაშორისო ვითარება უფრო ფაფუარო რთულდებოდა და ფაშისტმა აგრესორებმა მოახერხეს მეორე მსოფლიო ომის გაჩაღება. პარტიის, ამხანაგ სტალინის მოწოდებით მთელი კომკავშირი, მთელი ახალგაზრდობა მთელ ხალხთან ერთად დაიარაზმა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, ბევრი გმირული ფურცელი ჩაწერა ვერმახელ ფაშიტს დამპყრობთა და იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში, ამ ბრძოლაში გამოიწრთო და აღიზარდა ათასობით გმირი, რომლთა სახელები ცნობილია მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. მომხსენებელი ლაპარაკობს მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, სევასტოპოლის, ოდესის — გმირი ქალაქების კომკავშირელებსა და ახალგაზრდობაზე, სადაც ახალგაზრდა პატრიოტებმა, რომლებიც მუშაობდნენ და იბრძოდნენ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, განსაცვიფრებელი სიმტკიცე და გმირობა გამოიჩინეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ფრონტზე წასული მამებისა და ძმების შესაცვლელად დაზგებზე და აგრეგატებთან დადგნენ ასობით და ათასობით ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც უდიდესი შეუპოვრობითა და სიმტკიცით შრომობდნენ გამარჯვებისათვის.

— საბჭოთა ახალგაზრდობა, კომკავშირი მხურვალე მადლობას უძღვნიან დიდ ბელადს, ბრძენ მასწავლებელსა და ახალგაზრდობის მეგობარს ამხანაგ სტალინს ფაშიტი ბარბაროსებისგან საშობლოს ხსნისათვის, მონობისა და მოსპობის საფრთხისაგან. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა თაობის ხსნისათვის. მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით ყრილობა ფიცს აძლევს ამხანაგ სტალინს — ყოველთვის და ყველაფერში იყოს ლენინიზმის ერთგული, ყოველთვის და ყველაფერში გაჰყვეს ლენინ-სტალინის პარტიას. **(მქუხარე ტაში).**

შემდეგ ამხ. მიხაილოვი ლაპარაკობს ომისშემდგომ სტალინურ ხუთწლედზე, რომლის წლებშიც კომკავშირი და ახალგაზრდობა აღფრთოვანებია და თავდადებით იბრძვიან მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სოციალისტური შენებლობის ახალი წარმატებებისათვის. მომხსენებელი ლაპარაკობს ახალ ძმლავარ ალმავლობაზე, რომელიც ახასიათებს ჩვენს მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და კულტურას, შრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ზრდაზე. ყველა შეგრძნებლთა მქუხარე ტაშში იგი აცხადებს, რომ ჩვენი თაობა ააშენებს კომუნიზმს, რომ ჩვენი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს.

მთელი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობამ ყრილობა აღნიშნა ახალი წარმატებებით: ყრილობის პატივსაცემად 2 მილიონმა ახალგაზრდა მუშამ ვადამდე შეასრულა კვარტალური საწარმოო დავალება. 100 ათასზე მეტმა კაცმა შეასრულა ხუთი წლის ნორმა.

ამ გასცხადებას დელეგატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. მომხსენებელი ლაპარაკობს ამ წლების მანძილზე დაწინაურებულ წარმრთველ ნოვატორებზე — ორენოგო-ზუევის ბამბეულის კომბინატის ფეიქარ მარიამ ვოლკოვაზე, ჩქარი ბურღვის ოსტატ იუსუფ ქერიმოვზე, სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის საუკეთესო მეფოლადე ჩქარსან ალექსანდრე შამკოვზე, მოსკოვის მცირელიტრაჟიანი ავტომობილების ქარხნის სტახანოველ ანა კუზნეცოვაზე, ლენინგრადელ ოსტატ ჰენრიხ ბორტკევიჩზე, ჩქარი სამოთ ბურღვის ინიციატორ ნიკოლაზ ლუკიჩევზე და ბევრ სხვაზე, რომელთაც თავიანთი შრომითი წვლილი შეაქვთ ომისშემდგომი სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

ამხ. მიხაილოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლენინური კომკავშირის ამოცანაა უფრო ფართოდ გააჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება, მზრუნველობით დაუჭიროს მხარი ახალგაზრდობის შემოქმედებითი ინიციატივის მრავალფეროვან გამოვლინებას, ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ საჭიროა მუშა ახალგაზრდობის საწარმოო-ტექნიკური სწავლების გაუმჯობესება. შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს კომკავშირული ორგანიზაციის როლს ზეგიგანტი დაგროვებისათვის, მომჭირნეობისათვის, სახელმწიფო სახსრების ეკონომიისათვის ბრძოლაში და მოჰყავს კონკრეტული მაგალითები სსრ კავშირის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების გამოცდილებიდან.

გაიხსენა რა ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ კომკავშირი უნდა იყოს დამკვრელი ბრიგადა, რომელიც თავის ინიციატივას, თავის თოსსობას გამოიჩენს ყოველ საქმეში, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ომისშემდგომ დროს კომკავშირს თავის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნია ახალგაზრდობის ინიციატივისა და შემოქმედებითი ძალების მობილიზაცია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად. ომისშემდგომი ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლაში ბევრი კარგი მაგალითი გვიჩვენეს მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, სტალინგრადისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებისა და რესპუბლიკების კომკავშირელებმა.

ამხ. მიხაილოვი შეჩერდა კომკავშირის ამოცანებზე ახალგაზრდობის საწარმოო-ტექნიკური სწავლების დარგში და აღნიშნა, რომ კომკავშირს მნიშვნელოვანწილად ეკისრება პასუხისმგებლობა საქმის მდგომარეობისათვის სახელოსნო, რეინიგზის სასწავლებლისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუფალავად ზრუნავენ მშრომელთა, მათ შორის ახალგაზრდობის, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, რასაც მოწმობს ფართო მოხმარების საქონლის საცალო ფასების ამასწინანდელი შემცირება.

მომხსენებელი ლაპარაკობს სოციალისტურ სოფლის მეურნეობაზე და აღნიშნავს ახალგაზრდობის აქტიურ მონაწილეობას სოციალისტური მოწათმოქმედების შემდგომი აღმავლობისათვის, ბენების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში. კომკავშირი აგრეთვე ენერგიულად იბრძვის სოფლად კულტურული მშენებლობის გაჩაღებისათვის, „გამოდის როგორც ელექტროფიკაციის შეფი, ეხმარება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, რადიოფიკაციის საქმეს, სოფლად კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობას და სხვა.

კომკავშირი, ამბობს ამხ. მიხაილოვი, სკოლაში მუშაობას ყოველთვის გაბილოვადა, როგორც თავისი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს უბანს. იგი წარმატებით რაზმავს მოსწავლე ახალგაზრდობას მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებისათვის, ეხმარება სკოლაში დისციპლინის განმტკიცებას. კომკავშირული ორგანიზაციები ხელს უწყობენ სახალხო განათლების ორგანოების პედაგოგიური კადრების მომზადებაში, სკოლების მშენებლობისა და კეთილმოწყობაში, მათ უზრუნველყოფაში სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ხელსაწყოებით. ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოფთ სკოლაში კომკავშირის მთელი საქმიანობის ახალი აღმავლობა, ბოლშევიზერთან სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არის სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობაში, გვაწყვიდეს, რომ ჩვენი სკოლის გადამწყვეტი პრინციპია ღრმა პარტიულობა, იდეურობა, თვითეული სასწავლო დისციპლინის სწავლებაში ნამდვილი მეცნიერული მიდგომა. შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს კომკავშირის ამოცანებს ნორჩი პიონერების ორგანიზაციათა მუშაობისაგან ხელმძღვანელობის დარგში. იგი ჩერდება აგრეთვე სტუდენტ ახალგაზრდობას შორის კომკავშირის მუშაობის საკითხებზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომკავშირი ვალდებულია ყოველმხრივ გააძლიეროს მუშაობა ახალგაზრდა ინტელიგენციაში, დაეხმაროს მას მეცნიერების შემდგომ განვითარებაში.

შემდეგ ამხ. მიხაილოვი ლაპარაკობს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკითხებზე და აღნიშნავს, რომ იგი ყოველთვის მთავარი იყო კომკავშირის მუშაობაში. თავის აღმზრდელობით მეშვეობით პარტია იმას ეშაკრება, რომ ახალგაზრდა თაობამ უნდა განამტკიცოს და განადიდოს საბჭოთა წყობილების ძალა და ძლიერება, მთლიანად გამოიყენოს კომუნიზმის მშენებლობისათვის ჩვენი სახოგადოების ამოძირავებელი ძალები. კომკავშირი უნდა დაეხმაროს პარტიას ამ დიდი ამოცანების ღირსი ახალგაზრდა თაობის აღზრდაში. კომკავშირი მოწოდებულია აქტიურად დაეკვიროს მხარი, განამტკიცოს და დაეცროგოს კომუნიზმის ყლორტები. კომკავშირის ამოცანაა ჩაუნერგოს მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას საბჭოთა პატრიოტიზმის წმიდა გრძნობა, სამშობლოს წინაშე თავის ვალდებულებათადმი შეგნებული მიდგომა. მომხსენებელი ლაპარაკობს ახალგაზრდობის იდეოლოგიურ აღზრდაზე, მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლაზე. კომკავშირულ ორგანიზაციებში მუშაობს 237.125 პოლიტწრე და პოლიტსკოლა, რომლებშიც 4 მილიონზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა სწავლობს. შემდეგ ამხ. მიხაილოვი ლაპარაკობს კომკავშირულ პრესაზე, რომელიც ახალგაზრდის აღზრდის მძლავრი იარაღია, აგრეთვე ჩერდება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. იგი ლაპარაკობს ლიტერატურასა და ხელოვნებაში კრიტიკოსთა ჯგუფის ანტიპატრიოტულ საქმიანობაზე, როგორც უცნო, ბურჟუაზიული გავლენის გამოვლინებაზე. ამხ. მიხაილოვი ლაპარაკობს იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ მუშაობის პროგრამას ყველა კომკავშირული ორგანიზაციისათვის.

ამხ. მიხაილოვი აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში კომკავშირმა ორგანიზატორული მუშაობის დიდი გამოცდილება შეიძინა, გარდაქმნა თავისი საქმიანობა მშვიდობიან პირობებზე გადასვლასთან დაკავშირებით. კომკავშირიდან დაწინაურდა ბევრი პარტიული, სახელმწიფო, სამხედრო მუშაკი, მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწე.

ახალგაზრდობა დიდ მუშაობას ეწევა საბჭოებში. საკმარისია ითქვას, რომ შრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად 190.000-ზე მეტი ახალგაზრდაა, რომელთაგან ნახევარი საკავშირო ალკკ წევრია. განვლილი დროის მანძილზე პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიის რიგებში მიიღეს ხალხრეთი 4 მილიონი კომკავშირელი. გაუმჯობესდა მუშაობა კომკავშირული კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დარგში. ახლა ალკკ საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და კომკავშირულ რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების მდივნების ნახევარზე მეტი უმაღლესი და დაუშთავრებელი უმაღლესი განათლება აქვს. წარმოებს მუშაობა კომკავშირულ მუშაკთა მოსამზადებლად და გადასამზადებლად. ამასთან ერთად მომხსენებელი აღნიშნავს დიდ ნაკლოვანებებს კადრებთან მუშაობაში და ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა ხელმძღვანელ მუშაობაში ახალგაზრდა ქალების უფრო ფართოდ ჩაბმა.

საკავშირო ალკკ X და XI ყრილობებს შორის გაივლილ პერიოდში კომკავშირის რიგები ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა. ეს გვაკავშირებს უფრო მეტად ვიზრუნოთ თვითეული კომკავშირელის აღზრდაზე მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის სულისკვეთებით. მომხსენებელი აკრიტიკებს კომკავშირის ზოგიერთ ორგანიზაციას პირველად ორგანიზაციებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობის უქონლობისათვის, ზედმეტი ადმინისტრირებისათვის, წვრილმანი მეურნეობისათვის. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა გამოვავლინოთ და წავაახალისოთ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივა და თვითმოქმედება.

დასასრულ ამხ. მიხაილოვი ლაპარაკობს საერთაშორისო ვითარებაზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა იბრძვის მთელ მსოფლიოში დემოკრატიული ახალგაზრდობის ერთიანობის განმტკიცებისათვის, განუწყვეტლივ აფართოებს კავშირსა და თანამშრომლობას სხვა ქვეყნების ახალგაზრდობასთან. მილიონობით ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდები, ამბობს მომხსენებელი, ერთსულოვნად იწონებენ მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის სტალინურ პოლიტიკას. კომკავშირის ამოცანაა კვლავაც აღზარდოს საბჭოთა ახალგაზრდობა ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მთელი მსოფლიოს დემოკრატიულ ახალგაზრდობასთან მეგობრობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით. ლენინისა და სტალინის მიერ აღზრდილი საბჭოთა ახალგაზრდობა ღირსეულად შეასრულებს თავის ისტორიულ ვალს, გაამართლებს დემოკრატიული ახალგაზრდობის ავანგარდის, მოწინავე რაზმის სახელწოდებას. **(ტაში).**

ამხ. მიხაილოვი ამბობს, რომ მთელ თავის წარმატებებს კომკავშირი უმადლის ბოლშევიკურ პარტიას, ამხანაგ სტალინს.

ამ სიტყვებს დელეგატები და სტუმრები მქუხარე ტაშით ხვდებიან.

ამხ. მიხაილოვი თავისი მოხსენების დასასრულს დღეგრძელობას უსურვებს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს, საბჭოთა ახალგაზრდობას და მის მოწინავე რაზმს — ლენინურ-სტალინურ კომკავშირს, სახელოვან კომუნისტურ პარტიას, დიდ ბელადსა და მასწავლებელს, შშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს.

დარბაზში მქუხარე ოვაცია იმართება საბჭოთა ხალხის ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პატივსაცემად. გაისმის მისასალმებელი შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. ყრილობის მონაწილენი ფეხზე დგებიან და მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

* * *

30 მარტს, საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XI ყრილობის დელეგატებმა მოისმინეს საკავშირო ალკკ სარევიზიო კომისიის მოხსენება. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. **ა. ა. კრივცოვი.**

შემდეგ დაიწყო კამათი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო ალკკ სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

პირველი გამოვიდა კომკავშირის მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივანი ამხ. **ნ. პ. კრასავჩენკო,** რომელმაც ილაპარაკა დედაქალაქის ოლქის კომკავშირელებზე — ლენინურ-სტალინური კომკავშირის მებრძოლ რაზმზე, რომელიც წარმატებით იბრძვის ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

— ახალგაზრდა მუშებიდან, — ამბობს ამხ. კრასავჩენკო, — გაიზარდნენ ათასობით ნოვატორები, ისეთები, როგორიც არიან ანა კუზნეცოვა, მარიამ ვოლკოვა, ტრესტ „მოსკვა-უგოლის“ საყელაგი მანქანის მემანქანე მიხეილ ფომჩენკოვი, ვალენტინა ფომინა, ალექსანდრე იზოტოვი, ლუდმილა ნემიტშევა, ვალენტინა ხრისანოვა და სხვები, რომლებიც ჩვენი ორგანიზაციის სიამაყენი გახდნენ. სოფლის 420-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი უხვი მოსავლის მიღებისათვის დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, კომკავშირის მოსკოვის ორგანიზაციის 6 აღზრდილს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

შემდეგ ამხ. კრასავჩენკო შეჩერდა იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე, კომკავშირის აღმზრდელობით მუშაობაში აქტივის როლზე.

ტრიბუნაზეა უკრაინის ორდენოსანი კომკავშირული ორგანიზაციის დელეგატი უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. პ. სემჩისტენი.** იგი ამბობს, რომ უკრაინის კომკავშირი ყოველთვის იყო და რჩება საკავშირო ალკკ მებრძოლ რაზმად. უკრაინის კომკავშირული ორგანიზაციები გამდიდან საწარმოო პროგრამების ვადამდე შესრულებისათვის, უხვი მოსავლის მოყვანისათვის, ზეგეგმითი დაგროვებისათვის და ფულადი სახსრების, მასალების, საწვავისა და ელექტროენერგიის ეკონომიისათვის ახალგაზრდობის სოციალისტური შეჯიბრების წამომწყებებად და ორგანიზატორებად.

უკრაინის კომკავშირელები გამოვიდნენ ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ინიციატორებად. ხარკოვის, სტალინოს, ვოროშილოვგრადის ოლქების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კომკავშირულ მშენებლობად გამოაცხადეს მდინარე ჩრდილო დონეცის გასწვრივ სახელწოდებული ტყის ზოლის შექმნა.

